



ქალთა ფონდი
საქართველოში



დემოკრატიის
კვლევის ინსტიტუტი
Democracy Research Institute

ულტრამემარჯვენე ჯგუფების ანტიგენდერული რიტორიკა და ტენდენციები სოციალურ ქსელებსა და ონლაინ მედიაში

2022 წელი

ანგარიში მოამზადა დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტმა (DRI) პროექტის „ულტრამემარჯვენე ჯგუფების ანტიგენდერული რიტორიკა“ ფარგლებში. პროექტი მხარდაჭერილია „ქალთა ფონდი საქართველოში“ მიერ. პუბლიკაციაში ასახული პოზიციები და შეხედულებები ეკუთვნის პროექტის გუნდს და არ უნდა იქნეს აღქმული დონორის ოფიციალურ მოსაზრე

ტერმინთა განმარტებები:¹

ულტრამემარჯვენე იდეოლოგია - ქოლგა ტერმინი, იდეოლოგიათა ერთობლიობა, რომელიც ქმედით ინსტრუმენტად იყენებს: რასიზმს, ქსენოფობიას, მიზოგინიას, ანტისემიტიზმსა და ჰომოფობიას.

ულტრამემარჯვენე აქტორები - ჯგუფები, რომლებიც საზოგადოებაში აღვივებენ ანტილიბერალურ, ანტიგენდერულ, მკვეთრად ჰომოფობიურ, ქსენოფობიურ და ნაციონალისტურ განწყობებს. გარდა ამისა, ხშირ შემთხვევაში გამოირჩევიან სიძულვილის ენის ტირაჟირებითა და ძალადობრივი პრაქტიკით.

ანტილიბერალური დისკურსი - ლიბერალიზმის დემონიზაციისა და ლიბერალური ღირებულების დაკნინების პრაქტიკა.

ანტიფემინისტური დისკურსი - იმ აქტივობებისა და განწყობების ერთობლიობა, რომელიც მიზანმიმართულად ახდენს ქალთა მოძრაობების დისკრედიტაციას და მიმართულია ფემინისტური ხედვებისა და ღირებულებების წინააღმდეგ.

შესავალი

დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი ემიჯნება დოკუმენტში ციტირებულ სექსისტურ და ჰომოფობიურ შეხედულებებს. თუმცა, კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, მათ უცვლელად გთავაზობთ.

ბოლო წლებში საქართველოში ანტიგენდერული მოძრაობები შესამჩნევად გაძლიერდა. ამ

¹ ტერმინთა მოცემული განმარტებები არ ატარებს უნივერსალურ ხასიათს და შემუშავებულია კონკრეტულად წინამდებარე მონიტორინგის მიზნებისთვის.

ტენდენციას თან ერთვის გენდერული ძალადობის ნორმალიზება, ქალთა მოწყვლადი ჯგუფების მარგინალიზაცია და ჰომოფობიური განწყობების გაღვივება. ანტიფემინისტური განწყობები და ანტიგენდერული რიტორიკა მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ულტრამემარჯვენე ჯგუფებისა და მათი ლიდერების სამოქმედო დღის წესრიგში, რაც მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს ქვეყნის დემოკრატიზაციისა და უსაფრთხოებისთვის.

ულტრამემარჯვენე აქტორები მცდარი საზოგადოებრივი განწყობების შესაქმნელად აქტიურად იყენებენ სოციალურ და ონლაინ მედია პლატფორმებს, სადაც ხშირად ავრცელებენ ქალთა წინააღმდეგ მიმართულ მადისკრედიტირებელ გზავნილებს. მათი ანტიგენდერული რიტორიკა უმეტეს შემთხვევაში, არასპონტანური და წინასწარ განზრახული კამპანიით ხასიათდება. ულტრამემარჯვენე ჯგუფების სექსისტური, მიზოგინური და სიძულვილის ენის შემცველი გზავნილების იდენტიფიცირებისა და ანალიზის მიზნით, წინამდებარე ანგარიშში დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი 2022 წლის სექტემბრიდან ნოემბრის ჩათვლით განხორციელებული მონიტორინგის შედეგებს აჯამებს. საანგარიშო პერიოდში დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტმა სოციალურ ქსელებში და ონლაინ მედიაში ქალი პოლიტიკოსების, უფლებადამცველებისა და სახალხო დამცველის წინააღმდეგ მიმართული მადისკრედიტირებელი შინაარსის 165 შემთხვევა გააანალიზა.

პატრიარქალურად განწყობილ საზოგადოებებში ძალადობრივი, რადიკალური მოძრაობები მარტივად პოულობენ ნიადაგს ქალთა ჩაგვრის წახალისებისა და სექსისტური განწყობების ნორმალიზებისთვის. საანგარიშო პერიოდში გამოიკვეთა, რომ ულტრამემარჯვენე აქტორები საქართველოში ანტიფემინისტურ რიტორიკას აფუძნებენ „ოჯახის მხარდამჭერ“ მიდგომებზე, რაც სხვა საკითხებთან ერთად, აერთიანებს აბორტის უფლების მაქსიმალური შეზღუდვისა და ოჯახში მამაკაცთა დომინირების საკითხებს. ულტრამემარჯვენე აქტორების ანტიგენდერულ რიტორიკას წითელ ხაზად გასდევს დასავლური კულტურისა და პოლიტიკური ინსტიტუტების დემორალიზების მცდელობა. ისინი ქმნიან „გარყვნილი დასავლეთის“ ხატს და ცდილობენ საზოგადოებაში შექმნან განწყობა, რომ დასავლური ღირებულებები ქართულ ტრადიციებთან შეუთავსებელია.

დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის დაკვირვებით, ულტრამემარჯვენე აქტორები საქართველოში აქტიურად ახდენენ ქალების დისკრედიტაციას ისეთი მორალური ინდიკატორებით, როგორებიცაა ჩაცმის სტილი, მორჩილება, აბორტი, რელიგიურობა და ა.შ. ისინი განსაკუთრებული აგრესიით გამოირჩევიან ფემინისტების წინააღმდეგ და სწორედ მათ სდებენ ბრალს კონსერვატიული ტიპის ოჯახის ფასეულობების ნგრევაში, სადაც მთავარი ფიგურა და შესაბამისად, გადაწყვეტილების მიმღები პირი მამაკაცია.

ამ ჯგუფების ანტიგენდერული რიტორიკა ხშირ შემთხვევაში ერწყმის ჰომოფობიურ განწყობებს. ულტრამემარჯვენეები დამაკნინებელი ტერმინებით მოიხსენიებენ ლგბტქ პირებს და ლგბტქ მოძრაობასა და ფემინისტებს ქალების მთავარ მოწინააღმდეგეებს უწოდებენ. ამ მხრივ, საანგარიშო პერიოდში ულტრამემარჯვენე ლიდერების აგრესიული და ჰომოფობიური რიტორიკის სამიზნე აღმოჩნდა ფრანგული მოდის სახლის „Balenciaga-ს“ შემოქმედებითი ხელმძღვანელი [დემნა გვასალია](#), რომელსაც თბილისის მერმა კახა კალაძემ საპატიო მოქალაქის წოდება მიანიჭა.

საანგარიშო პერიოდში, ანტიგენდერული რიტორიკით განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ ორგანიზაცია „ბავშვთა უფლებების დაცვის საზოგადოების“ ლიდერები [გურამ](#) და [ალექსანდრე](#)

[ფალავანდიშვილები](#) და საზოგადოებრივი მოძრაობა „ქართული მისიის“ დამფუძნებელი [რამაზ გაგნიძე](#). ანტიგენდერული სარედაქციო პოლიტიკით განსაკუთრებით აქტიურობდა „ალტ-ინფოს“ გუნდი.

წინამდებარე კვლევაზე მუშაობის პერიოდში, სოციალური ქსელების და ონლაინ მედიის მონიტორინგმა ულტრამემარჯვენე ჯგუფების ანტიგენდერულ ონლაინ დისკურსში ორი ძირითადი მიმართულება გამოკვეთა, რომელთა გარშემოც ინტერაქცია ყველაზე მაღალი იყო:

1. **მადისკრედიტირებელი კამპანია სახალხო დამცველისა და სახალხო დამცველობის ქალი კანდიდატის წინააღმდეგ** - ულტრამემარჯვენე პოლიტიკური პარტიის „კონსერვატიული მოძრაობის/ალტ-ინფოს“ ლიდერებისა და მედიაპლატფორმა „ალტ-ინფოს“ აგრესიული რიტორიკის სამიზნე აღმოჩნდნენ სახალხო დამცველი ნინო ლომჯარია და სახალხო დამცველობის კანდიდატი ანა აბაშიძე.
2. **ანტილიბერალური რიტორიკა**, რომელიც მიმართული იყო ტელეკომპანია „რუსთავი 2-ის“ წინააღმდეგ. ულტრამემარჯვენე ჯგუფები „ქართული იდეა“, „ბავშვთა უფლებების დაცვის საზოგადოება“ და „კონსერვატიული მოძრაობა/ალტ-ინფო“ გადაცემა „პრამ ჰაუსის“ დახურვას მოითხოვდნენ, რომელსაც დასავლეთის მიერ თავსმოხვეულ „გარყვნილების პროპაგანდას“ უწოდებდნენ.

საანგარიშო პერიოდში დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის მიერ განხორციელებული მონიტორინგის კიდეც ერთ მიგნებას წარმოადგენს ულტრამემარჯვენე ჯგუფებისა და საქართველოს საპატრიარქოს ოფიციალური პოზიციების თანხვედრა. 2022 წლის 26 ნოემბერს ხაშურში ცხრამუხის დედათა მონასტერში მონაზონზე თავდასხმის ფაქტი საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელმა [დეკანოზმა ანდრია ჯაღმაიძემ](#) და „ალტ-ინფოს“ გუნდმა ერთნაირად შეაფასეს, როგორც ლიბერალური მედიისა და არასამთავრობო სექტორის მიერ ორგანიზებული [ანტიეკლესიური კამპანიის](#) მძიმე შედეგი. ულტრამემარჯვენე აქტორები ასევე გამოეხმაურნენ საქართველოში მოხშირებული ფემიციდის შემთხვევებს და „ქალთა მოძრაობის“ ბრძოლა ფემიციდის წინააღმდეგ ლიბერალური ძალების ეკლესიაზე თავდასხმად შეაფასეს.

მეთოდოლოგიური ჩარჩო

ანგარიში ეფუძნება შინაარსობრივი ანალიზის მეთოდს და მასში ასახულია 2022 წლის სექტემბრიდან 2022 წლის ნოემბრის ჩათვლით ულტრამემარჯვენე პოლიტიკური სუბიექტებისა და მედია პლატფორმების ანტიგენდერული აქტივობები, სექსისტური, მანიპულაციური მედია კონტენტები, ანტიფემინისტური ტენდენციები და დისკურსი. ანგარიშში აღწერილია ულტრამემარჯვენე ჯგუფების („ბავშვთა უფლებათა დაცვის საზოგადოება“, „ქართული მისია“, „ერი, რაობა, იმედი“), ულტრამემარჯვენე პოლიტიკური პარტიებისა („ქართული მარში“, „ქართული იდეა“, „კონსერვატიული მოძრაობა“) და მათი ლიდერების ოფიციალურ და მხარდამჭერთა გვერდებზე გააქტიურებული დეზინფორმაციული და გენდერული ნიშნით სიძულვილის ენის შემცველი პროპაგანდისტული კამპანია.

მონიტორინგისას გაანალიზდა ულტრამემარჯვენე მედია პლატფორმა „ალტ-ინფოს“ ანტიგენდერული სარედაქციო პოლიტიკაც, რომელიც მაღალი ონლაინ ინტერაქციიდან

გამომდინარე, ჩვენი განსაკუთრებული დაკვირვების ქვეშ იყო.

ულტრამემარჯვენე ჯგუფების ანტიგენდერული, სექსისტური, მანიპულაციური და პოპულისტური ნარატივების გავრცელების სიხშირისა და არეალის ხარისხობრივი შესწავლა ფეისბუქის ანალიტიკური ხელსაწყო CrowdTangle-ს გამოყენებით განვახორციელეთ. მონიტორინგის შედეგები ეფუძნება როგორც რაოდენობრივი, ასევე, თვისებრივი კვლევის მეთოდებს. რაოდენობრივი კომპონენტი მოიცავს ანტიგენდერული კატეგორიებისა და სექსისტური გზავნილების გარშემო ონლაინ ინტერაქციის სტატისტიკურ მაჩვენებლებს. ხოლო თვისებრივი ანალიზის შედეგად გამოვლინდა სექსისტური სიძულვილის ენის ძირითადი ადრესატები და ანტიგენდერული რიტორიკის ძირითადი შინაარსობრივი მახასიათებლები.

მონიტორინგის ფარგლებში საინფორმაციო მასალის რაოდენობრივი და თვისებრივი ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ პოსტების 65 % წარმოდგენილი იყო ტექსტური მასალის (სტატუსის) სახით, ვიდეო კონტენტი (ლაივ ჩართვების ჩათვლით) წარმოადგენდა მონაცემთა 20%-ს, ფოტო მასალა კი 15%-ს. შესწავლილი პოსტების ჯამურმა ინტერაქციამ გამოავლინა, რომ ყველაზე მაღალი ინტენსივობით სახალხო დამცველის წინააღმდეგ მიმართული მადისკრედიტირებელი კამპანია გამოირჩეოდა. ასევე, მაღალი ონლაინ ინტერაქცია მოჰყვა ელენე ხომტარიას წინააღმდეგ მიმართულ დისკრიმინაციულ გზავნილებს, რომელიც აგრესიული რიტორიკის სამიზნე მისი პოლიტიკური და საზოგადოებრივი საქმიანობიდან გამომდინარე გახდა.

1. სახალხო დამცველის აპარატი-ულტრამემარჯვენე ჯგუფების ანტიგენდერულ ფოკუსში

საანგარიშო პერიოდში ულტრამემარჯვენე ჯგუფების განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა ახალი სახალხო დამცველის არჩევის საკითხი. გამოიკვეთა აგრესიული, მადისკრედიტირებელი, მკვეთრად ანტიგენდერული გზავნილები, როგორც მოქმედი სახალხო დამცველის ნინო ლომჯარიას, აგრეთვე, სახალხო დამცველობის ერთ-ერთი კანდიდატის ანა აბაშიძის წინააღმდეგ. საგულისხმოა, რომ ნინო ლომჯარია წარსულშიც არაერთხელ გამხდარა ულტრამემარჯვენე ჯგუფების დეზინფორმაციული კამპანიის სამიზნე. მას პირდაპირ სდებდნენ ბრალს [„გარყვნილების პროპაგანდაში“](#), [პედოფილიის მხარდაჭერასა](#) და [დასავლეთის აგენტობაში](#).

საანგარიშო პერიოდში, „ალტ-ინფოს“ ეთერში, პარტია „კონსერვატიული მოძრაობის/ალტ-ინფოს“ ლიდერებმა არაერთი გადაცემა მიუძღვნეს როგორც ახალი სახალხო დამცველის არჩევის პროცესს, ასევე მოქმედი სახალხო დამცველის უფლებამოსილების შეფასება/ანალიზს მკვეთრად ჰომოფობიური და ანტიდასავლური გზავნილების ფონზე. „ალტ-ინფოს“ გუნდი ცდილობდა სახალხო დამცველის აპარატი წარმოეჩინა ანტიქართულ, ანტისახელმწიფოებრივ ინსტიტუტად, რომელიც პოლიტიკურად ანგაჟირებულია და წარმოადგენს დასავლეთის მნიშვნელოვან ბერკეტს ქართველი ერისა და მართლმადიდებლური ეკლესიის წინააღმდეგ.

საერთო ჯამში, მადისკრედიტირებელი კამპანია ორი ძირითადი მიმართულებით განვითარდა: 1. მკვეთრად ჰომოფობიური რიტორიკა მოქმედი სახალხო დამცველისა და სახალხო დამცველობის ერთ-ერთი კანდიდატის ანა აბაშიძის წინააღმდეგ; 2. მათი საქმიანობის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ჭრილში დისკრედიტაცია.

N1 - ჰომოფობიური რიტორიკა მოქმედი სახალხო დამცველისა და სახალხო დამცველობის ერთ-ერთი კანდიდატის ანა აბაშიძის წინააღმდეგ

საზოგადოებაში ჰომოფობიური განწყობების გაღვივება „ალტ-ინფოს“ გუნდის მნიშვნელოვანი სტრატეგიული ინსტრუმენტია. 2022 წლის 5 სექტემბერს პარტია „კონსერვატიული მოძრაობის/ალტ-ინფოს“ ყოფილმა თავმჯდომარემ და ამჟამად ალტ-ინფოს“ მედიამენეჯერმა ზურა მახარაძემ გადაცემაში „ალტერნატიული ხედვა“ [განაცხადა](#): „*მე არ მინახავს ჩვეულებრივი ადამიანი, რაღაც კონტექსტი რომ არ იყოს, მაგალითად, ან ლგბტქ და მთელი ანბანი რომ აქვთ, მაგ საზოგადოების ან სამკაციათი სექტის წევრი თუ არ არის, სახალხო დამცველს რაიმე აქტიური ქმედება განეხორციელებინოს ჩვეულებრივი ქართველის დასაცავად*“. აღნიშნული ნარატივი, რომლის თანახმადაც, სახალხო დამცველი გულგრილია მოქალაქეთა პრობლემებისადმი და მხოლოდ ლგბტქ პირთა უფლებების დაცვით არის შემოფარგლული, გაავრცელა „ალტ-ინფოს“ წამყვანმა [თათია გაბრიჭიძემაც](#).

ლგბტქ პირთა უფლებების დაცვაზე უარყოფით კონტექსტში აპელირებით, ულტრამემარჯვენე ჯგუფები სახალხო დამცველის კანდიდატის ანა აბაშიძის დისკრედიტაციასაც ცდილობენ:

- 2022 წლის 26 ოქტომბერს გადაცემაში [„დღის კომენტარი“](#) „ალტ-ინფოს“ წამყვანი მარიამ კუბლაშვილი ანა აბაშიძის კანდიდატურას სექსისტური და ჰომოფობიური

განცხადებებით გამოეხმაურა. მან სახალხო დამცველობის კანდიდატს „ლგბტ“ დღის წესრიგით მოქმედი და „ზომბირებული პერსონა“ უწოდა. ამავე გადაცემაში გაჟღერდა სექსისტური შინაარსის განცხადებაც: „ეს ანა აბაშიძე - არ ვიცი რა ვთქვა, ქალბატონი თუ ვაჟბატონი“.

- ანა აბაშიძე „ლგბტ პოლიტიკური აქტივისტების დამცველად“, „მართლმადიდებლების მტრად“ და „ქართველთმომპულედ“ მოიხსენია გადაცემა „დღის კომენტარის“ სტუმარმა [დეკანოზმა](#) სპირიდონ ცქიფურიშვილმა.
- პრიმაკოვის სახელობის ქართულ-რუსული საზოგადოებრივი ცენტრის ხელმძღვანელმა [დიმიტრი ლორთქიფანიძემ](#) „ალტ-ინფოს“ გადაცემა „ალტერნატიულ ხედვაში“, 2022 წლის 18 ოქტომბერს განაცხადა, რომ „ანა აბაშიძე არ აღიარებს უმრავლესობის სურვილებს და ის უმცირესობების დიქტატურას განიხილავს დემოკრატიადა“.
- დასავლური ძალების თავსმოხვეულ კანდიდატად და „გეიქტივისტად“ შეაფასა ანა აბაშიძე „პარტია კონსერვატიული მოძრაობის ლიდერმა [ირაკლი მარტინენკომაც](#).



N2 - სახალხო დამცველისა და სახალხო დამცველობის კანდიდატის ანა აბაშიძის საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტივობის ნიშნით დისკრედიტაცია

ულტრამემარჯვენე მედიაპლატფორმა „ალტ-ინფო“ და პარტია „კონსერვატიული მოძრაობის/ალტ-ინფოს“ ლიდერები აქტიურად ცდილობენ საზოგადოების თვალში სახალხო დამცველის ინსტიტუტის დისკრედიტაციას, მოქმედი სახალხო დამცველის საქმიანობის არალეგიტიმურად, მხოლოდ უმცირესობათა უფლებების დაცვაზე ორიენტირებულად და პოლიტიკური ნიშნით ანგაჟირებულად წარმოჩენით.

მადისკრედიტირებელ კამპანიაში ფიგურირებს ნარატივი, რომ ანა აბაშიძის კანდიდატურა დასავლეთის მიერ არის თავსმოხვეული და ის სწორედ მათი ინტერესების გამტარია. 2022 წლის 19 ოქტომბერს „ალტ-ინფოს“ გადაცემაში [„ალტერნატიული ხედვა“](#) იდენტური ნარატივი გაავრცელა „კონსერვატიული მოძრაობის/ალტ-ინფოს“ ლიდერმა ირაკლი მარტინენკომ, რომელმაც აღნიშნა, რომ „ანა აბაშიძე თავისი საქმიანობით წინააღმდეგობაში მოდის ჩვენი ქვეყნის აბსოლუტური უმრავლესობის ინტერესებთან. ვინაიდან, ის დასავლეთიდან დაფინანსებულ არასამთავრობო ორგანიზაციაში იყო დასაქმებული და ატარებდა დასავლეთის ინტერესებს.“

მოქმედი სახალხო დამცველის მადისკრედიტირებელ ნარატივს კი წარმოადგენს მისი საქმიანობის პოლიტიკურად მიკერძოებულობის პრიზმაში წარმოჩენა. ულტრამემარჯვენე აქტორები ცდილობენ გაავრცელონ მოსაზრება, რომ ნინო ლომჯარია პოლიტიკურად მიკერძოებული და „ნაციონალური მოძრაობის“ [ინტერესების](#) გამტარია. 2022 წლის 14 ოქტომბერს [„ალტ-ინფოს“](#) გადაცემაში „ალტერნატიული ხედვა“, პრიმაკოვის სახელობის ქართულ-რუსული საზოგადოებრივი ცენტრის ხელმძღვანელმა დიმიტრი ლორთქიფანიძემ სახალხო დამცველის საქმიანობას პოლიტიკური მოღვაწეობა უწოდა და აღნიშნა, რომ „*ნინო ლომჯარია არაერთხელ იყო შემჩნეული პოლიტიკურ განცხადებებში, რისი უფლებაც მას არ აქვს და ეს სახალხო დამცველის მოვალეობების უხეში დარღვევაა.*“

სახალხო დამცველის საქმიანობა შეაფასა „ალტ-ინფოს“ ეთერში „კონსერვატიული მოძრაობის/ალტ-ინფოს“ თელავის ოფისის ხელმძღვანელმა [გიორგი კარჭაულმა](#) და გადაცემა „დღის კომენტარში“ სახალხო დამცველის საქმიანობას პარტიული უწოდა: „*ნინო ლომჯარია იყო პარტიული ფიგურა და ის წარმოადგენდა მხოლოდ ნაციონალური მოძრაობის ინტერესებს.*“

სახალხო დამცველის ინსტიტუტის დისკრედიტაციისთვის „ალტ-ინფოს“ გუნდი ნინო ლომჯარიასა და ანა აბაშიძის საქმიანობას „ანტისახელმწიფოებრივს“ და „ანტიქართულს“ უწოდებს. მათი განცხადებით, ნინო ლომჯარია და ანა აბაშიძე ღიად მოქმედებენ მართლმადიდებლური ეკლესიის წინააღმდეგ. აღნიშნულ განცხადებას სავარაუდოდ, საფუძვლად დაედო ნინოწმინდის ბავშვთა პანსიონატის აღსაზრდელთა უფლებრივი მდგომარეობის აღწერის და ხარვეზების გამოვლენის პროცესში სახალხო დამცველის აპარატისა და ანა აბაშიძის აქტიურობა.

2022 წლის 14 ოქტომბერს, „ალტ-ინფოს“ გადაცემაში [„ალტერნატიული ხედვა“](#) დიმიტრი ლორთქიფანიძემ განაცხადა, რომ „*ნინო ლომჯარიამ კომპლექსური და ცილისმწამებლური კამპანია წამოიწყო საპატრიარქოს წინააღმდეგ და მან შეძლო, რომ სასამართლოს გზით დაეხურა საქართველოს საპატრიარქოს იურისდიქციაში არსებული ნინოწმინდის ბავშვთა სახლი.*“ იდენტური გზავნილები გაავრცელა „ალტ-ინფოს“ [წამყვანმა](#) მარიკა კუბლაშვილმა ამჯერად სახალხო დამცველობის კანდიდატის ანა აბაშიძის წინააღმდეგ. მისი მტკიცებით, ანა აბაშიძემ ნინოწმინდის ბავშვთა პანსიონი „დაარბია“ და ამით „ეკლესიაზე შეტევა“ განახორციელა. გადაცემაში „დღის კომენტარი“ ალექსანდრე ფალავანდიშვილმა მარიამ კუბლაშვილთან ერთად უარყოფით კონტექსტში მიმოიხილა ანა აბაშიძის კანდიდატურა და ის [„ეკლესიისა და ბავშვების მტრად“](#) მოიხსენია.



2. ულტრამემარჯვენე ჯგუფების ანტიგენდერული რიტორიკა და თავდასხმა ლიბერალურ მედიაზე

საანგარიშო პერიოდში ულტრამემარჯვენე ჯგუფების აგრესიის სამიზნე ტელეკომპანია „რუსთავი 2“ აღმოჩნდა. „ალტ ინფოს“, „ქართული იდეის“, „ბავშვთა უფლებების დაცვის საზოგადოების“ და „კონსერვატიული მოძრაობის/ალტ-ინფოს“ ლიდერთა უკმაყოფილება გამოიწვია გადაცემა „პრაიმ ჰაუსმა“. ულტრამემარჯვენე აქტორები აღნიშნული გადაცემის დახურვას მოითხოვენ, რასაც მკვეთრად ჰომოფობიური მოტივით ხსნიან. მათი განცხადებით, ტელეკომპანია „რუსთავი 2“ ღიად ახდენს [„გარყვნილების პროპაგანდას“](#) და ხელს უწყობს „ერის გარყვნას“. გადაცემის დახურვის მოთხოვნით ულტრამემარჯვენე ძალებმა „რუსთავი 2-ის“ შენობასთან საპროტესტო აქცია გამართეს. მხარდამჭერთა მობილიზაციას სოციალური ქსელების საშუალებით ცდილობდნენ „ბავშვთა უფლებების დაცვის საზოგადოების“ ლიდერები გურამ და ალექსანდრე ფალავანდიშვილები და „ქართული იდეის“ თავმჯდომარე ლევან ჩაჩუა.

გადაცემა „პრაიმ ჰაუსი“ [„ალტ-ინფომ“](#) ლიბერალური იდეოლოგიის „გარყვნილი პროპაგანდად“ შეაფასა, რომელიც ეროვნული ღირებულებების წინააღმდეგაა მიმართული.



ალექსანდრე ფალავანდიშვილი

19 November at 15:55 · 🌐

ჩნდება გონივრული ეჭვი, რომ ევრო სასამართლომ ქიბარ ხალვაშს რუსთავი2-ის დავაში მხარი იმიტომ დაუჭირა, რომ მისგან გარანტიები მიიღო, რომ ახალი რუსთავი 2 გააგრძელებდა ბრძოლას ქვეყნის ლიბერალიზაციის მიმართულებით, რაც პირველრიგში გამოიხატება ეკლესიის დაგებასა და გარყვნილების პროპაგანდაში.

გურამ ფალავანდიშვილი

20 · 🌐

**ვიკრიბებით, 3 საათზე, რუსთავ
ორთან!
მთავრობაა პასუხისმგებელი
ამ უბინძურეს საძაგლობებზე!!!**

გადაცემა „პრაიმ ჰაუსის“ წინააღმდეგ მიმართული კამპანიის ფონზე ულტრამემარჯვენე ლიდერებმა გააქტიურეს სკოლებში სექსუალური განათლების საკითხი. „ალტ-ინფოს“ 17 ოქტომბრის გადაცემაში [„დღის კომენტარი“](#) გადაცემის წამყვანმა მარიამ კუბლაშვილმა ალექსანდრე ფალავანდიშვილთან ერთად, მიმოიხილა საქართველოს სწრაფვა ევროატლანტიკურ სტრუქტურებში, რა დროსაც წინა პლანზე წამოწია სკოლებში სექსუალური განათლების საკითხი, როგორც დასავლეთის მხრიდან თავსმოხვეული „დირექტივა“. გადაცემის წამყვანმა განაცხადა, რომ „*სკოლებში ღრმად იდგამს ფესვებს გენდერული თეორია და პოლიტიკა და ჩვენ [„ალტ-ინფო“] დაწვრილებით გავაშუქებთ, თუ რას ატენიან ბავშვებს სკოლებში*“. ალექსანდრე ფალავანდიშვილმა „ავადმყოფებად“ მოიხსენია ის ადამიანები, ვისთვისაც მისაღებია სკოლებში სექსუალური განათლება და განაცხადა, რომ „პრაიმ ჰაუსში“ ღიად საუბრობენ იმაზე, თითქოს სექსუალური განათლება არა მხოლოდ „სექსის სწავლებაა“, არამედ „*ეს ავადმყოფი ადამიანები ამბობენ, რომ მე-3 კლასის ბავშვებს უნდა ელაპარაკო, როგორ დაიცვან თავი სექსუალური მოძალადისგან. არ შეიძლება ყველა ასე გამოშტერდეს.*“

აღნიშნულ გადაცემაში ალექსანდრე ფალავანდიშვილმა ლიბერალურ მედიებს დასდო ბრალი პედოფილიის მხარდაჭერასა და ნორმალიზებაში.

საანგარიშო პერიოდში ულტრამემარჯვენე ჯგუფებისთვის რეზონანსული აღმოჩნდა 2022 წლის 26 ნოემბერს ხაშურში ცხრამუხის დედათა მონასტერში მონაზვნის გაუპატიურების შემზარავი ფაქტი. მონაზონზე განხორციელებული ძალადობა ულტრამემარჯვენე ჯგუფებმა საქართველოს [საკატორქოს](#) მსგავსად, ლიბერალურ მედიებსა და არასამთავრობო სექტორზე თავდასხმისთვის გამოიყენეს. კერძოდ, „ქართული იდეის“ ლიდერმა [ლევან ჩაჩუამ](#) განაცხადა, რომ „ათწლეულებია მოღვაწეობენ ანტიეკლესიური არხები, ეწყობა დაკვეთილი სიუჟეტები ეკლესიის წინააღმდეგ, გადაიცემა ბინძური ცილისწამებები მონაზვნებისა და სასულიერო პირების წინააღმდეგ ზიზლის გამოსაწვევად და კაციშვილი პასუხს არ სთხოვს მათ“.

მონაზონზე თავდასხმას გამოეხმაურა „კონსერვატიული მოძრაობის/ალტ-ინფოს“ ლიდერი [შოთა მარტინენკოც](#), რომელმაც ქვეყანაში არსებულ კრიმინოგენურ სიტუაციაზე პასუხისმგებლობა მედიას დააკისრა. „ის გაუგონარი მხეცობა, რაც დღეს მოხდა, ლოგიკური შედეგია საზოგადოების დექრისტიანიზაციაზე და გარყვანაზე მიმართული მედია და პოლიტიკური გარემოსი, სადაც დიდი თუ პატარა ოცდაოთხსაათიან რეჟიმში ისმენს და უყურებს რადიკალური ფემინიზმის, ტრანსგენდერობის, ჰომოსექსუალობის, პედოფილიის, ბოზობის, გარყვნილების ნორმალიზაციაზე და მიმღებლობაზე მიმართულ გადაცემებს.“



Shota Martinenko/შოთა მარტინენკო 2 d · 🌐

ის უბედურება და გაუგონარი არაადამიანობა, რაც ხაშურის რაიონის მონასტერში მოხდა, რეალურად შედეგია იმ აგრესიული ანტიქრისტიანული, ანტიმორალური პროპაგანდის და პოლიტიკის, რომელიც წლების განმავლობაში ხორციელდება ჩვენთან და რომელიც აუცილებელი პირობა და შინაარსია ლიბერალური იდეოლოგიური დღის წესრიგის. ის გაუგონარი მხეცობა, რაც დღეს მოხდა, ან რაც წინა დღეებში გვესმონა, გაუპატიურების და ძალადობის ფაქტები იქნება ეს თუ არასრულწლოვანთა და სრულწლოვანთა მხრიდან გარყვნილი ქცევა, ლოგიკური შედეგია საზოგადოების დექრისტიანიზაციაზე და გარყვანაზე მიმართული მედია და პოლიტიკური გარემოსი,





ლევან ჩაჩუა is with ლევან ჩაჩუა 20 h · 🌐


მონაზონ გაუპატიურებული საქართველო !!



საანგარიშო პერიოდში ულტრამემარჯვენეები სექსისტურ შეფასებებს იყენებდნენ ოპოზიციონერი პოლიტიკოსის ელენე ხომტარიას წინააღმდეგ, რაც მისი საქმიანობის დისკრედიტაციას ემსახურებოდა. „ქართული მარშის“ ლიდერმა სანდრო ბეგაძემ ელენე ხომტარიას „ბინძური დედაკაცი“ უწოდა და განაცხადა, რომ მისი პოლიტიკური საქმიანობის მთავარი დამფინანსებელი ძებნილი კუზერაშვილი და კრემლია. სანდრო ბეგაძე ასევე გამოეხმაურა 2022 წლის 5 ნოემბერს „სტრატეგია-აღმაშენებლის“, „დროასა“ და „გირჩი-მეტი თავისუფლების“ თავმჯდომარეების საზოგადოების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებთან საჯარო შეხვედრის ფაქტს და ელენე ხომტარია დამაკნინებელი ტერმინებით მოიხსენია.





საანგარიშო პერიოდში ასევე გამოიკვეთა, რომ ულტრამემარჯვენე აქტორების ანტიგენდერულ რიტორიკაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ქალთა შერცხვენას მორალურად, „ოჯახის სიწმინდის“ ხაზგასმას, რომელიც ეფუძნება მკვეთრად მასკულიზურ იერარქიას, აბორტის აკრძალვას, ფემინიზმის დემონიზებასა და ჰომოფობიურ განწყობებს. ამ მიმართულებით განსაკუთრებული აქტიურობით გურამ და ალექსანდრე ფალავანდიშვილები გამოირჩევიან. მკვეთრად სექსისტური განცხადებები აქვს ასევე, „ქართული მისიის“ დამფუძნებელს რამაზ გაგნიძეს. გურამ და ალექსანდრე ფალავანდიშვილები ოქტომბრის თვეში განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებდნენ, ქალთა შერცხვენაზე მორალური ინდიკატორის გამოყენებით და პატიოსნების მთავარ საზომად ასახელებდნენ კაბის სიგრძეს. მათი ანტიგენდერული რიტორიკა ქალთა უფლებადამცველების აქტიურობისა და გახშირებული ფემიციდის საკითხებზე საზოგადოებრივი დებატების ფონზე მიმდინარეობდა.





ალექსანდრე და გურამ ფალავანდიშვილები ქალის პატიოსნების საზომად კაბის სიგრძეს ასახელებენ.

ალექსანდრე ფალავანდიშვილის ანტიგენდერულ რიტორიკაში შესამჩნევია ქალთა მოძრაობებისა და ფემინიზმის სიძულვილი. ოქტომბერში გახშირებული ფემიციდისა და ქალთა უფლებადამცველების მხრიდან აღნიშნულ საკითხზე გამახვილებული ყურადღების ფონზე, ულტრამემარჯვენე აქტორები ცდილობდნენ მორალური პასუხისმგებლობის დაკისრებას ფემინისტურ მოძრაობაზე. 2022 წლის 21 ოქტომბერს ალექსანდრე ფალავანდიშვილის მიერ გამოქვეყნებულ პოსტში აღნიშნულია, რომ ქალბატონების მთავარი მტერი ფემინისტური იგივე „ღებტ“ მოძრაობაა“. ასევე, ცინიკურადაა მოხსენიებული ქალთა უფლებადამცველი ბაია პატარაიას საქმიანობა. ფალავანდიშვილის განცხადებით, ბაია პატარაიას ფემიციდის შეჩერების გზად მამაკაცთა მოკვლა წარმოუდგენია.



„ქართული მისიის“ დამფუძნებლის რამაზ გაგნიძისა და „ქართული მარშის“ ლიდერის სანდრო ბრეგაძის ანტიგენდერული რიტორიკა საზოგადოებაში ჰომოფობიური განწყობების გაღვივებას ემსახურება. თბილისის მერის მიერ ფრანგული მოდის სახლის „Balenciaga-ს“ შემოქმედებითი ხელმძღვანელის დემნა გვასალიასთვის საპატიო მოქალაქის სტატუსის მინიჭების შემდგომ, რამაზ გაგნიძემ ხელისუფლება გეების მხარდამჭერად მოიხსენია. მან 2022 წლის 4 ოქტომბერს გამოაქვეყნა სექსისტური და ჰომოფობიური შინაარსის ფეისბუქ პოსტი: „ქოცებო, გეებს რომ უწონებთ საქციელს, მაინტერესებს რომელ მინისტრს ან დეპუტატს გინდათ ბიჭი გაგიტხოვდეთ ან გოგომ ცოლი მოიყვანოს?“

„ქართული მარშის“ ლიდერმა სანდრო ბრეგაძემ ჰომოფობიური განწყობების ფონზე გამოთქვა უკმაყოფილება უკრაინის პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მრჩევლის ოლექსი არესტოვიჩის საქმიანობისადმი. „1991 წელს კიტოვანმა მოახდინა სამხედრო გადატრიალება!! 2022 წელს უკვე არესტოვიჩი გეგმავს საქართველოში სამხედრო გადატრიალებას. ალბათ ერთადერთი განსხვავებაა - კიტოვანი ყაჩაღი იყო, არესტოვიჩი „ქათამი“ - აღნიშნულია 22 ოქტომბერს გამოქვეყნებულ ფეისბუქ პოსტში.



ძირითადი მიგნებები

- საქართველოში ანტიფემინისტური განწყობები და ანტიგენდერული რიტორიკა მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ულტრამემარჯვენე ჯგუფების და მათი ლიდერების სამოქმედო დღის წესრიგში. ამ ტენდენციას თან ერთვის გენდერული ძალადობის ნორმალიზება, ქალთა მოწყვლადი ჯგუფების მარგინალიზაცია და ჰომოფობიური განწყობების გაღვივება.
- ონლაინ მედიაში ულტრამემარჯვენე ჯგუფების ანტიგენდერული რიტორიკიდან გამომდინარე მნიშვნელოვანი საფრთხეებია: ძალადობრივი პრაქტიკების და აგრესიული დღის წესრიგის ლეგიტიმაცია; მიზოგინიისა და ქალთა წინააღმდეგ ძალადობის ნორმალიზება; ჰომოფობიური განწყობების გაღვივება საზოგადოებაში.

- ულტრამემარჯვენე ჯგუფების ანტიგენდერული რიტორიკა ემსახურება „გარყვნილი დასავლეთის“ ხატის შექმნას; სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობასა და ადამიანის უფლებებზე ბავშვების განათლების საკითხის, როგორც „ფსიქოლოგიური ტერორის“ წარმოჩენას; ფემინისტების დემონიზაციას და ლიბერალური მედიის დისკრედიტაციას.
- ულტრამემარჯვენე აქტორები საქართველოში აქტიურად ახდენენ ქალების დისკრედიტაციას ისეთი მორალური კატეგორიებით, როგორებიცაა ჩაცმის სტილი, მორჩილება, აბორტი, რელიგიურობა.